საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/105

ქ. ბათუმი 27 აგვისტო, 2020 წელი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პრაქტიკოსი ექთანი“ საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მენეჯერის 2020 წლის 24 აგვისტოს N718531 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პრაქტიკოსი ექთანი“ (2017 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **გულადი ფარტენაძე** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის, **კომისიის თავმჯდომარე;**

ბ) **მანანა პატარაია** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების სპეციალისტი, კომისიის წევრი, მდივანი;

გ) **მზია ბაკურიძე** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პრაქტიკოსი ეთანის“ ხელმძღვანელი;

დ) **ნატო ზისიძე** - პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ე) **მედეა ქაჯაია** - დამსაქმებელი (შპს „მრავალპროფილური“ კლინიკური დირექტორი).

2. კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანებით, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.
3. კომისიამ იმუშაოს 2020 წლის **27 აგვისტოს** დღის **10:00** საათიდან საღამოს **17:00** საათამდე.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებ გვერდზე (ველში „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი").
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ბსაინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**